




ავთვისებიანი სიმსივნეები საქართველოში



2015-2020

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
მოკლე რეზიუმე	4
კიბოს გავრცელების გლობალური მონაცემები	6
კიბოთი განპირობებული ავადობა და სიკვდილიანობა	8
ხუთწლიანი გადარჩენის მაჩვენებლები	12
სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა.....	18
სტადიურობა	19
სამი ყველაზე მაღალი ავადობის კიბო ქალებში	21
სარძევე ჯირკვლის კიბო ქალებში	22
ფარისებრი ჯირკვლის კიბო ქალებში	25
კოლორექტუმის კიბო ქალებში	28
სამი ყველაზე მაღალი ავადობის კიბო კაცებში.....	31
წინამდებარე ჯირკვლის კიბო.....	35
ტრაქეას, ბრონქის და ფილტვის კიბო კაცებში	32
კოლორექტუმის კიბო კაცებში	38
კიბო ადრეულ ასაკში	42
ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები 15 წლამდე ასაკის ბავშვებში	42
ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები 15-19 წლის მოზარდებში	44
ავთვისებიანი სიმსივნეების გეორგაფიული განაწილება	46
კიბოს სკრინინგი	49
მკურნალობა	51

წინასიტყვაობა

ავთვისებიანი სიმსივნეების გავრცელების შესახებ ხარისხიანი მონაცემების შეგროვების მიზნით, 2015 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა კიბოს პოპულაციური რეგისტრი.

კიბოს რეგისტრის ამოქმედებამ განაპირობა პერსონიფიცირებულ მონაცემთა სისტემის დანერგვა; რეგისტრი უწყვეტად ვითარდება, მონაცემთა ხარისხი და მოცვა უმჯობესდება, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული გამოწვევები, რაზედაც რეაგირება მომავალი საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს ავთვისებიანი სიმსივნეების შესახებ 2015-2020 წლების მონაცემების ანალიზს.

მოკლე რეზიუმე

- საქართველოში ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების რაოდენობა (in situ¹ სიმსივნეების ჩათვლით) 2015-2020 წლებში 9400-დან 11 000-მდე მერყეობს. 2020 წელს რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს 9435 ახალი შემთხვევა, ინციდენტობის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე - 253.5.
- 2020 წელს ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების 54% აღირიცხა ქალებში, 46% - კაცებში.
- ახალი შემთხვევების 68% რეგისტრირებულია ყველაზე შრომისუნარიან (30-70 წელი) ასაკობრივ ჯგუფში; შემთხვევათა 28% - 70 წლის და უფროს ჯგუფში. 0-დან 15 წლამდე და 15-დან 20 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებზე მოდის ახალი შემთხვევების 1%. რეპროდუქციული ასაკის (15-49 წელი) ქალებში რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების 24%.
- სამი ყველაზე მაღალი ავადობის კიბო ქალებში:
 - სარძევე ჯირკვალი
 - ფარისებრი ჯირკვალი
 - კოლორექტუმი.
- სამი ყველაზე მაღალი ავადობის კიბო კაცებში:
 - წინამდებარე ჯირკვალი
 - ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი
 - კოლორექტუმი.
- საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, ბავშვებში ყველაზე მაღალი ავადობის ავთვისებიანი სიმსივნეებია ლეიკემია, ლიმფომები და თავის ტვინის და ხერხემლის სიმსივნეები.
- 2020 წელს დაავადების I და II სტადიაზე ორივე სქესობრივ ჯგუფში რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის² კიბოს ახალი შემთხვევების 41.6%; III და IV სტადიაზე - 41.4%, დანარჩენ შემთხვევებში სტადია არ იყო იდენტიფიცირებული.
- 2020 წელს საქართველოში კიბოს დიაგნოზით გარდაიცვალა 8024 ადამიანი, მათ შორის უმეტესი წილი ტრაქეას, ბრონქის, ფილტვის კიბოზე (15%) და სარძევე ჯირკვლის კიბოზე (10%) მოდის.

¹ პრეინვაზიური კიბო

² არ შედის In situ და ლიმფოიდური, ჰემოპოეზური და მონათესავე ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეები

- კიბოს პოპულაციური რეგისტრის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ქვეყანაში 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლების გამოთვლა 2016-2020 წლებისთვის.
- საქართველოში კიბოს ყველა ლოკალიზაციისთვის ხუთწლიანმა გადარჩენის მაჩვენებელმა 55.8% შეადგინა (გამოთვლილია გადარჩენის შეფასების პირდაპირი მეთოდის გამოყენებით).
- საქართველოში ადრეული ასაკის (20 წლამდე) კიბოს 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი 79%-ს შეადგენს ორივე სქესობრივ ჯგუფში.
- კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემებით, 2020 წელს ქირურგიული მკურნალობა ჩატარდა ახალ შემთხვევათა 53%-ში, ქიმიოთერაპია და ჰორმონოთერაპია - 35%-ში, სხივური თერაპია - 18%-ში, იოდოთერაპია³ - 49%-ში, პალიატიური მკურნალობის წილი 4%-ს შეადგენდა. აშშ კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის შეფასებით⁴, საქართველოში კიბოს ახალი შემთხვევების 51% საჭიროებს ქირურგიულ მკურნალობას, 72% ქიმიოთერაპიას, ხოლო 57% - რადიოთერაპიას.
- საერთაშორისო ექსპერტთა პროგნოზით, 2018-2030 წლების პერიოდში საქართველოში კიბოს ახალი შემთხვევების რაოდენობა 6%-ით მოიმატებს (ქალებში - 5%-ით, კაცებში - 7%-ით). იმავე პერიოდში, ევროპისთვის პროგნოზირებულია ახალი შემთხვევების 14%-ით მატება (ქალებში - 10%-ით, კაცებში - 18%-ით)⁵.

³ ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი პაციენტებისთვის

⁴ Human Resources Needed for Cancer Control in Low & Middle Income Countries. National Cancer Institute. Radiation Research Program

⁵ https://gco.iarc.fr/tomorrow/graphic-isotype?type=0&type_sex=0&mode=population&sex=0&populations=935_268&cancers=39&age_group=value&apc_male=0&apc_female=0&single_unit=500000&print=0#collapse-group-0-3

კიბოს გავრცელების გლობალური მონაცემები⁶

- კიბოთი განპირობებული გლობალური ტვირთი 2020 წელს მოიცავდა 19.3 მილიონ ახალ შემთხვევას (18.1 მილიონი არამელანომა კანის კიბოს გარდა) და ~10 მილიონ გარდაცვალებას (9.9 მილიონი არამელანომა კანის კიბოს გარდა). გლობალურად კიბოს ყველაზე გავრცელებული ლოკალიზაციებია:
 - სარძევე ჯირკვლის კიბო (2.3 მლნ შემთხვევა - კიბოთი სიკვდილიანობის 11.7%)
 - ფილტვის კიბო (2.21 მლნ შემთხვევა - 11.4%)
 - კოლორექტუმის კიბო (1.93 მლნ შემთხვევა - 10%)
 - წინამდებარე ჯირკვლის კიბო (1.41 მლნ შემთხვევა - 7.3%)
 - კუჭის კიბო (1.09 მლნ შემთხვევა - 5.6%).
- გლობალურად კიბოთი გამოწვეულ სიკვდილიანობაში პირველი ადგილი უკავია ფილტვის კიბოს (1.8 მლნ გარდაცვალება - კიბოთი სიკვდილიანობის 18%), შემდეგ მოდის კოლორექტუმის კიბო (935000 გარდაცვალება - 9.4%), ღვიძლის კიბო (830000 გარდაცვალება - 8.3%), კუჭის კიბო (769000 გარდაცვალება - 7.7%) და სარძევე ჯირკვლის კიბო ქალებში (685000 - 6.9%)⁷.
- მსოფლიოში, კიბოს დიაგნოზის დადგენიდან 5 წლის შემდეგ ცოცხალ პაციენტთა რაოდენობა 43.8 მილიონია.
- კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის დაახლოებით 70% ფიქსირდება საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში.
- კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის დაახლოებით 1/3 განპირობებულია 5 ძირითადი ქცევითი და კვებითი რისკ-ფაქტორით: ჭარბი წონა, ხილის და ბოსტნეულის არასაკმარისი მოხმარება, დაბალი ფიზიკური აქტივობა, ალკოჰოლის ჭარბი და თამბაქოს მოხმარება.
- თამბაქოს მოხმარება კიბოს განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია, კიბოთი სიკვდილიანობის 22% თამბაქოს მოხმარებას უკავშირდება.
- დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში კიბოს შემთხვევების 25%-მდე განპირობებულია ინფექციური აგენტებით, როგორცაა B და C ჰეპატიტების ვირუსი, ადამიანის პაპილომა ვირუსი (HPV), *helicobacter pylori*, ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსი (HIV) და სხვა.
- კიბოს გამოვლენა სტადიების მიხედვით, ისევე როგორც დიგნოსტიკასა და მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა, განსხვავებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა

⁶ <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/cancer>

⁷ <https://acsjournals.onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.3322/caac.21660>


და რეგიონში. 2017 წელს, დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მხოლოდ 26%—მა აღნიშნა, რომ პათომორფოლოგიური დიაგნოსტიკების სერვისები ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის. მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების 90%-ზე მეტმა განაცხადა, რომ კიბოს მკურნალობა ხელმისაწვდომია, როდესაც იგივე სერვისი ხელმისაწვდომია დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მხოლოდ 30%-ში.

- კიბოს ეკონომიკური ზეგავლენა მნიშვნელოვანია და ის მატულობს. 2010 წელს კიბოთი ავადობის მთლიანი ეკონომიკური ღირებულება/ტვირთი დაახლოებით 1.16 ტრილიონ აშშ დოლარად შეფასდა.

კიბოთი განპირობებული ავადობა და სიკვდილიანობა

2020 წელს საქართველოში რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს 9435 ახალი შემთხვევა, ინციდენტობის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე - 253.5.


სურათი 1. კიბოს ასაკ-სტანდარტიზებული ინციდენტობა 100000 მოსახლეზე, 2020



წყარო: <https://www.wcrf.org/dietandcancer/global-cancer-data-by-country/>

საქართველო კიბოთი განპირობებული სიკვდილიანობის 100000 მოსახლეზე ასაკ-სტანდარტიზებული მაჩვენებლის მნიშვნელობით შუალედურ პოზიციას იკავებს.

სურათი 2. კიბოთი განპირობებული სიკვდილიანობის ასაკ-სტანდარტიზებული მაჩვენებლები 100000 მოსახლეზე, ზოგიერთი ქვეყანა და საქართველო, 2019




წყარო: <http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool>

ცხრილი 1. კიბოთი განპირობებული ავადობის და სიკვდილიანობის ძირითადი მაჩვენებლები, საქართველო, 2015-2020

	2015	2016	2017	2018	2019	2020
ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების რაოდენობა	11099	10699	10149	10417	10339	9435
ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	297,9	287,0	272,2	279,5	277,9	253,5
ახალი შემთხვევების რაოდენობა, in situ და კანის სხვა კიბოს გარდა	10173	9863	9491	9666	9476	8628
ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	273,1	264,6	254,6	259,4	254,7	231,8
სიკვდილი კიბოს დიაგნოზით ⁸	6268	6829	7095	7329	7873	8024
მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	168,3	183,2	190,3	196,7	211,6	215,5

სურათი 3. ყველაზე მაღალი ავადობის კიბო (შემთხვევათა რაოდენობა) ლოკალიზაციის და სქესის მიხედვით, საქართველო, 2020



ზემოთ მოყვანილი ლოკალიზაციების კიბო ორივე სქესობრივ ჯგუფში რეგისტრირებული ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობის ~71%-ს შეადგენს.

⁸ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

საერთაშორისო შეფასებებით, საქართველოს მოსახლეობაში კიბოს განვითარების რისკი სიცოცხლის განმავლობაში ~40%-ს უტოლდება⁹.

ცხრილი 2. კიბოს განვითარების რისკი სიცოცხლის განმავლობაში

კაცი	%	ქალი	%
ყველა ლოკალიზაცია	40,5	ყველა ლოკალიზაცია	38,9
წინამდებარე ჯირკვალი	12,1	სარძევე ჯირკვალი	15,2
ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი	6,6	ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი	6,0
კოლორექტუმი	4,5	კოლორექტუმი	4,2
მელანომა	4,8	საშვილოსნო ტანი	3,1
არაჰოჯკინის ლიმფომა	2,4	მელანომა	3,3
თირკმელი და თირკმლის მენჯი	2,2	არაჰოჯკინის ლიმფომა	1,9
ლეიკემია	1,8	ფარისებრი ჯირკვალი	1,9
ფარისებრი ჯირკვალი	0,7	ლეიკემია	1,3
		თირკმელი და თირკმლის მენჯი	1,3
		საკვერცხე	1,2
		საშვილოსნოს ყელი	0,6
ორივე სქესი			%
შარდის ბუშტი			2,4
პანკრეასი			1,7
ტუჩი, პირის ღრუ და ხახა			1,2
ღვიძლი და ღვიძლშიდა სანაღვლე გზები			1,0
თავის ტვინი			0,6
ხორხი			0,3
ჰოჯკინის ლიმფომა			0,2
ძვალი და სასახსრე ხრტილი			0,1

<https://surveillance.cancer.gov/devcan/canques.html>¹⁰

⁹ DevCan: Developing or Dying of Cancer Software, Version 6.7.7. Statistical Research and Applications Branch, National Cancer Institute, 2019. surveillance.cancer.gov/devcan/ და <https://seer.cancer.gov/>

¹⁰ Surveillance, Epidemiology, and End Results (SEER) Program (www.seer.cancer.gov) DevCan database: "SEER 21 Incidence and Mortality, 2000-2017, with Kaposi Sarcoma and Mesothelioma". National Cancer Institute, DCCPS, Surveillance Research Program, Surveillance Systems Branch, released April 2019, based on the November 2018 submission. Underlying mortality data provided by NCHS (www.cdc.gov/nchs)

ხუთწლიანი გადარჩენის მაჩვენებლები¹¹

გადარჩენის მაჩვენებელი არის საკვლევ ან სამკურნალო ჯგუფში იმ პაციენტების წილი, რომლებსაც შეუნარჩუნდათ სიცოცხლე კიბოს დიაგნოზის დადგენის ან აღნიშნული დაავადების მკურნალობის დაწყებიდან დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. გადარჩენის საშუალო პერიოდი დროის საშუალო ინტერვალა (მკურნალობის დაწყებიდან ან დიაგნოზის დასმის მომენტიდან), რომლის განმავლობაში პაციენტები სიცოცხლეს ინარჩუნებენ¹². ყველაზე ხშირად გამოიყენება ერთწლიანი და ხუთწლიანი გადარჩენის მაჩვენებლები. კიბოს სკრინინგი, ადრეული დიაგნოსტიკა, მკურნალობის მეთოდების სტანდარტიზაცია და ტექნოლოგიების განვითარება ის ქვაკუთხედებია, რომლებიც ონკოპაციენტის გადარჩენის პერიოდის ზრდას განაპირობებს.

გადარჩენის მაჩვენებელთა გამოთვლის პირდაპირი და არაპირდაპირი (შეფასებითი) მეთოდი გამოიყენება.

პაციენტთა გადარჩენის მაჩვენებლის გამოთვლის უმარტივესი გზა პირდაპირი მეთოდის გამოყენებაა, რომელიც, როგორც განსაზღვრებაშია მითითებული, გვიჩვენებს ჩვენთვის საინტერესო დროის პერიოდის (მაგალითად, ხუთწლიანი პერიოდი) დასასრულს ცოცხლად გადარჩენილ პაციენტთა პროცენტს. აღნიშნული მეთოდი არ ითვალისწინებს საკვლევ ჯგუფში დაკვირვების პერიოდში (მაგალითად, ხუთწლიან პერიოდში) გარდაცვლილთა შორის გადარჩენის თვალსაზრისით არსებულ სხვაობებს¹³.

გადარჩენის ალბათობის შეფასების არაპირდაპირ მეთოდებს შორის ყველაზე ხშირად კაპლან-მაიერის მეთოდი გამოიყენება. ის მხედველობაში იღებს თითოეული შემთხვევის (სიკვდილის) გამოვლენის მომენტს (რაც, სავარაუდოდ, რანდომულად ხდება) საკვლევი (მაგალითად, ხუთწლიანი) პერიოდის განმავლობაში და აერთიანებს დროის მომდევნო ინტერვალებისთვის გამოთვლილ გადარჩენის სავარაუდო ალბათობებს. დროის თითოეული ინტერვალი, რომელიც ძირითადად არათანაბარია, განისაზღვრება, როგორც ორ მომდევნო მოვლენას (სიკვდილი) შორის დროის პერიოდი¹⁴.

გადარჩენის კონცეფციის თანახმად, ერთი ან ხუთი წლის გავლის შემდეგ, პაციენტი იქნება ცოცხალი, თუმცა დაავადება შესაძლოა განმეორდეს ან აღარ განმეორდეს (მეტასტაზი განვითარდეს ან არ განვითარდეს).


¹¹ წინამდებარე დოკუმენტში გადარჩენის მაჩვენებლები გამოთვლილია პირდაპირი მეთოდით

¹² <https://stats.oecd.org/Index.aspx?QueryId=51882>; <https://seer.cancer.gov/statfacts/html/common.html> (2011 – 2016)

¹³ Parkin D.M., Hakulinen T. Analysis of survival. International Agency for Research on Cancer. p. 163-164

¹⁴ A Dictionary of Epidemiology, Sixth Edition, Edited by Miquel Porta, 2015

სურათი 4. ზოგიერთი ლოკალიზაციის კიბოს ხუთწლიანი გადარჩენის მაჩვენებლები



წყარო: საქართველოს კიბოს პოპულაციური რეგისტრი
[https://stats.oecd.org/Index.aspx?QueryId=51882;](https://stats.oecd.org/Index.aspx?QueryId=51882)
<https://www.cdc.gov/cancer/dcpc/research/articles/concord-2.htm>

ცხრილი 3. კიბოს 5 წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები (%): სარძევე ჯირკვალი (ქალებში) და საშვილოსნოს ყელი, 15 წლის და უფროსი ჯგუფი¹⁵

სარძევე ჯირკვალი (ქალები)		საშვილოსნოს ყელი	
აშშ	90,2	ისლანდია	80,1
ავსტრალია	89,5	ნორვეგია	73,2
იაპონია	89,4	იაპონია	71,4
ისლანდია	89,1	შვეიცარია	71,4
შვედეთი	88,8	დანია	69,5
კანადა	88,6	შვედეთი	68,3
ფინეთი	88,5	ჩინეთი	67,6
ისრაელი	88,0	ნიდერლანდები	67,5
ახალი ზელანდია	87,6	ახალი ზელანდია	67,4
პორტუგალია	87,6	ფინეთი	67,4
ნორვეგია	87,2	კანადა	67,3
საფრანგეთი	86,7	იტალია	66,8
ნიდერლანდები	86,6	ისრაელი	66,6
ბელგია	86,4	ესტონეთი	66,5
შვეიცარია	86,2	ავსტრალია	66,4
დანია	86,1	პორტუგალია	66,2
გერმანია	86,0	სლოვენია	65,5
იტალია	86,0	ბელგია	65,4
გაერთიანებული სამეფო	85,6	საქართველო	65,3
ესპანეთი	85,3	გერმანია	65,2
ავსტრია	84,8	საფრანგეთი	65,0
სლოვენია	83,5	ესპანეთი	64,6
ჩინეთი	83,2	ავსტრია	63,9
თურქეთი	82,1	გაერთიანებული სამეფო	63,8
ირლანდია	82,0	ირლანდია	63,6
ჩეხეთი	81,4	აშშ	62,6
ესტონეთი	78,1	ჩეხეთი	61,0
ლატვია	76,9	თურქეთი	60,7
საქართველო	76,5	სლოვაკეთი	60,5
პოლონეთი	76,5	ლიეტუვა	59,2
სლოვაკეთი	75,5	რუსეთი	57,7
ლიეტუვა	73,5	პოლონეთი	55,1
რუსეთი	70,8	ლატვია	53,9

	გადარჩენის მაღალი მაჩვენებელი	წყარო: https://stats.oecd.org/Index.aspx?QueryId=51882 ; დკსჯეც
	გადარჩენის საშუალო მაჩვენებელი	
	გადარჩენის დაბალი მაჩვენებელი	

¹⁵ საქართველო: 2016-2020, სხვა ქვეყნები: 2010-2014

ცხრილი 4. კიბოს 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები (%): კოლორექტუმი, ტრაქეა, ბრონქი და ფილტვი, 15 წლის და უფროსი ჯგუფი, ორივე სქესი¹⁶

კოლორექტუმი (ორივე სქესი)		ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი (ორივე სქესი)	
ავსტრალია	80,1	იაპონია	32,9
ისრაელი	79,9	ისრაელი	26,6
ისლანდია	78,7	კანადა	21,3
იაპონია	78,6	აშშ	21,2
კანადა	77,8	შვეიცარია	20,4
აშშ	77,6	ისლანდია	20,2
ბელგია	77,2	ჩინეთი	19,8
შვედეთი	76,9	ავსტრია	19,7
შვეიცარია	76,8	შვედეთი	19,5
ფინეთი	76,7	ავსტრალია	19,4
ნორვეგია	76,1	გერმანია	18,3
ახალი ზელანდია	75,8	ლატვია	18,3
გერმანია	75,4	ბელგია	18,2
საფრანგეთი	75,2	ნორვეგია	18,1
იტალია	75,1	ირლანდია	17,5
ნიდერლანდები	74,9	ნიდერლანდები	17,3
ავსტრია	74,3	საფრანგეთი	17,3
ესპანეთი	74,3	ესტონეთი	16,9
პორტუგალია	74,3	დანია	16,6
გაერთიანებული სამეფო	72,8	იტალია	15,9
სლოვენია	72,7	პორტუგალია	15,7
ირლანდია	71,3	ახალი ზელანდია	15,3
ჩინეთი	70,4	თურქეთი	14,9
თურქეთი	68,7	სლოვენია	14,8
ესტონეთი	68,3	პოლონეთი	14,4
ლიეტუვა	65,2	საქართველო	13,9
პოლონეთი	64,7	რუსეთი	13,7
სლოვაკეთი	63,7	ესპანეთი	13,5
ლატვია	62,9	გაერთიანებული სამეფო	13,3
ჩეხეთი	62,7	ფინეთი	13,0
დანია	60,3	სლოვაკეთი	11,2
რუსეთი	57,9	ჩეხეთი	10,6
საქართველო	43,2	ლიეტუვა	9,9

	გადარჩენის მაღალი მაჩვენებელი	წყარო: https://stats.oecd.org/Index.aspx?QueryId=51882 ; დკსჯეც
	გადარჩენის საშუალო მაჩვენებელი	
	გადარჩენის დაბალი მაჩვენებელი	

¹⁶ საქართველო: 2016-2020, სხვა ქვეყნები: 2010-2014

ცხრილი 5. კიბოს ხუთწლიანი გადარჩენის მაჩვენებლები (%): კუჭი და მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია, 15 წლის და უფროსი ჯგუფი, ორივე სქესი¹⁷

კუჭი (ორივე სქესი)		მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია	
კორეა	68,9	ფინეთი	95,2
იაპონია	60,3	დანია	94,0
ბელგია	37,5	კანადა	93,0
ჩინეთი	35,9	ისლანდია	92,4
ავსტრია	35,4	გაერთიანებული სამეფო	92,2
გერმანია	33,5	გერმანია	91,1
აშშ	33,1	ბელგია	90,8
ისრაელი	32,3	ავსტრალია	90,7
პორტუგალია	32,2	ნიდერლანდები	90,4
შვეიცარია	32,2	შვეიცარია	90,3
ავსტრალია	31,8	შეერთებული შტატები	89,5
იტალია	30,5	შვედეთი	89,0
კანადა	29,5	საფრანგეთი	88,6
ესტონეთი	29,2	ირლანდია	88,3
სლოვენია	28,8	ჩეხეთის რესპუბლიკა	88,2
ისლანდია	28,1	ისრაელი	87,9
ირლანდია	27,6	იტალია	87,8
ესპანეთი	27,2	ესტონეთი	87,7
ლიეტუვა	27,0	იაპონია	87,6
საფრანგეთი	26,7	ახალი ზელანდია	87,6
ნორვეგია	26,2	სლოვაკეთი	87,0
ფინეთი	25,7	პოლონეთი	86,9
ლატვია	25,1	ესპანეთი	84,7
ნიდერლანდები	25,0	კორეა	84,4
შვედეთი	24,8	საბერძნეთი	84,2
თურქეთი	24,6	ლატვია	84,1
სლოვაკეთი	21,1	ნორვეგია	83,0
რუსეთი	21,0	თურქეთი	80,9
პოლონეთი	20,9	რუსეთი	76,9
გაერთიანებული სამეფო	20,7	ლიეტუვა	74,7
საქართველო	22,8	ბრაზილია	66,6
ჩეხეთი	20,6	ჩინეთი	57,7
დანია	19,9	საქართველო	53,2

	გადარჩენის მაღალი მაჩვენებელი	წყარო: https://stats.oecd.org/Index.aspx?QueryId=51882 ; დკსჯეც
	გადარჩენის საშუალო მაჩვენებელი	
	გადარჩენის დაბალი მაჩვენებელი	


¹⁷ საქართველო: 2016-2020, სხვა ქვეყნები: 2010-2014

**ცხრილი 6. ხუთწლიანი გადარჩენის მაჩვენებლები ლოკალიზაციის მიხედვით (%),
ორივე სქესი, საქართველო**

ლოკალიზაცია	2015-2019	2016-2020
ყველა ლოკალიზაცია	50,1	55,8
ფარისებრი ჯირკვალი	92,8	97,1
in situ	89,1	96,5
სარძევე ჯირკვალი	66,0	76,0
საშვილოსნოს ტანი	66,7	70,6
კანი (ავთვისებიანი მელანომიას გარდა)	66,5	70,5
საშვილოსნოს ყელი	56,9	65,0
წინამდებარე ჯირკვალი	46,6	58,3
შარდის ბუშტი	61,0	57,9
სისხლი	50,9	56,1
ძვალი და სასახსრე ხრტილი	42,6	53,6
საკვერცხე	39,1	48,3
ხორხი	54,6	47,1
ავთვისებიანი მელანომა	50,8	43,7
ტუჩი, პირის ღრუ და ხახა	49,5	43,6
კოლორექტუმი	41,4	43,2
თავის ტვინი	32,3	32,8
მეზოთელური და რბილი ქსოვილები	46,2	31,9
კუჭი	22,7	22,8
პანკრეასი	13,4	14,0
ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი	12,3	13,9

კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემებით, კიბოს ადრეული დიაგნოსტიკა ხუთწლიანი გადარჩენის მაჩვენებლებთან დადებით კორელაციაშია; გვიან სტადიაზე დიაგნოსტიკისას გადარჩენის მაჩვენებელი მცირდება.

სურათი 5. 5 წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი კიბოს სტადიების მიხედვით¹⁸, ორივე სქესი, საქართველო, 2016-2020




¹⁸ in situ და ლიმფოიდური, ჰემოპოეზური და მონათესავე ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეების გარდა

სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა


2020 წელს საქართველოში სულ რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს 9435 ახალი შემთხვევა (ინციდენტობა 100000 მოსახლეზე - 253.5), მათ შორის 4299 შემთხვევა (45.6%) რეგისტრირებულია კაცებში, ხოლო 5136 შემთხვევა (54.4%) - ქალებში.

სურათი 6. ყველა ლოკალიზაციის კიბოს განაწილება სქესის მიხედვით, საქართველო, 2020



ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ახალი შემთხვევების 68% რეგისტრირებულია ყველაზე შრომისუნარიან ასაკობრივ ჯგუფში (30-70 წელი), ხოლო შემთხვევათა 28% - 70 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფში. 0-დან 15 წლამდე და 15-დან 20 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებზე ახალი შემთხვევების 1% მოდის. რეპროდუქციული ასაკის (15-49 წელი) ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების წილი 24%-ს შეადგენს.


სურათი 7. ყველა ლოკალიზაციის კიბოს განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ორივე სქესი, საქართველო, 2020




სტადიურობა ¹⁹

2020 წელს, დაავადების I და II სტადიაზე ორივე სქესობრივ ჯგუფში რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის (in situ და ლიმფოიდური, ჰემოპოეზური და მონათესავე ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეების გარდა) კიბოს ახალი შემთხვევების 41.6%; III და IV სტადიებზე - 41.4%, დანარჩენ შემთხვევაში სტადია არ იყო იდენტიფიცირებული.

სურათი 8. ყველა ლოკალიზაციის კიბოს განაწილება სტადიების მიხედვით, საქართველო, 2020



სურათი 9. ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება სტადიების მიხედვით, საქართველო, 2015-2020




¹⁹ სტადიების პროცენტული განაწილების დროს არ ითვლება ლიმფოიდური, ჰემოპოეზური და მონათესავე ქსოვილების კიბო

ცხრილი 7. ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება სტადიების და რეგიონების (პაციენტის საცხოვრებელი მისამართით) მიხედვით, საქართველო, 2020

	I სტადია	II სტადია	III სტადია	IV სტადია	უცნობი სტადია
თბილისი	26,7	17,8	14,6	20,3	20,5
აჭარა	14,4	19,2	20,5	31,9	14,0
გურია	14,0	18,8	20,7	29,0	17,5
აფხაზეთი	20,1	21,1	18,6	21,1	19,1
იმერეთი	19,7	20,1	21,6	23,6	15,1
კახეთი	18,4	21,7	19,8	18,1	22,0
მცხეთა-მთიანეთი	23,6	19,7	17,2	22,2	17,2
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	21,6	17,0	19,3	21,6	20,5
სამეგრელო და ზემო სვანეთი	21,0	17,9	21,8	19,9	19,4
სამცხე-ჯავახეთი	19,0	21,5	20,1	19,7	19,7
ქვემო ქართლი	23,1	21,2	15,8	22,8	17,1
შიდა ქართლი	16,9	17,2	19,7	27,6	18,6
სულ	21,9	19,4	17,8	22,4	18,5

სურათი 10. ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევები მე-III-IV სტადიაზე დადგენილი დიაგნოზით რეგიონების (პაციენტის საცხოვრებელი მისამართით) მიხედვით, საქართველო, 2020



სამი ყველაზე მაღალი ავადობის მქონე კიბო ქალებში

ცხრილი 8. კიბოს ახალი შემთხვევები ქალებში ლოკალიზაციის მიხედვით, საქართველო, 2020

ლოკალიზაცია	ახალი შემთხვევების რაოდენობა	%
ყველა ლოკალიზაცია	5136	100.0
<i>მათ შორის:</i>		
სარძევე ჯირკვალი	1500	29,2
ფარისებრი ჯირკვალი	679	13,2
კანის კიბო (მელანომას გარდა)	351	6,8
კოლორექტუმი	320	6,2
საშვილოსნოს ტანი	303	5,9
საშვილოსნოს ყელი	302	5,9
საკვერცხე	269	5,2
სისხლი	233	4,5
თავის ტვინი	114	2,2
კუჭი	108	2,1
შარდის ბუშტი	93	1,8
ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი	89	1,7
პანკრეასი	76	1,5
მეზოთელიუმი და რბილი ქსოვილები	67	1,3
მელანომა	44	0,9
ტუჩი, პირის ღრუ და ხახა	44	0,9
ძვალი და სასახსრე ხრტილი	25	0,5
in situ	22	0,4
საყლაპავი მილი	19	0,4

ცხრილი 9. სამი ყველაზე მაღალი ავადობის კიბო ქალებში, საქართველო, 2020

ლოკალიზაცია	ახალი შემთხვევების რაოდენობა	ინციდენტობა 100000 ქალზე
სარძევე ჯირკვალი	1500	77,7
ფარისებრი ჯირკვალი	679	35,2
კოლორექტუმი	320	16,6

ამ ლოკალიზაციების შემდეგ მოდის ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები, რომელთაც აქვთ დაახლოებით ერთნაირი წილი ინციდენტობის სტრუქტურაში: საშვილოსნოს ტანის (5.9%), საშვილოსნოს ყელის (5.9%), საკვერცხის (5.2%) და ლიმფოიდური, ჰემოპოეზური და მონათესავე ქსოვილების (4.5%) კიბო.

1. სარძევე ჯირკვლის კიბო ქალებში

2020 წელს საქართველოში ქალებში რეგისტრირებულია სარძევე ჯირკვლის კიბოს 1500 ახალი შემთხვევა, რაც ამ სქესობრივ ჯგუფში რეგისტრირებული ყველა ახალი შემთხვევის 29%-ს შეადგენს. 2016 წელს დიაგნოსტირებულ ქალებში სარძევე ჯირკვლის კიბოს ხუთწლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა 76% შეადგინა.


ამერიკის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის შეფასებით, ამერიკელ ქალებში ძუძუს კიბოს განვითარების რისკი სიცოცხლის განმავლობაში 12.9%-ს შეადგენს²⁰.

ცხრილი 10. სარძევე ჯირკვლის კიბოთი განპირობებული ავადობა და სიკვდილიანობა ქალებში, საქართველო, 2015-2020

	2015	2016	2017	2018	2019	2020
ახალი შემთხვევების რაოდენობა	2044	1875	1783	1735	1629	1500
% ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობიდან	32,9	31,0	31,3	29,5	28,3	29,2
ინციდენტობა 100000 ქალზე	105,1	96,5	91,9	89,6	84,4	77,7
სიკვდილიანობა 100000 ქალზე	31,2	36,0	36,5	36,6	38,2	42,4


2015–2020 წლებში სარძევე ჯირკვლის კიბოს ინციდენტობა კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, რეგისტრირებული შემთხვევების მიხედვით უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში 27%-ით შემცირდა. მნიშვნელოვანია, რომ იგივე პერიოდის განმავლობაში სარძევე ჯირკვლის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა 35%-ით გაიზარდა.

სურათი 11. სარძევე ჯირკვლის კიბო ქალებში, ავადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებლები 100000 ქალზე, საქართველო, 2015-2020




²⁰ <https://seer.cancer.gov/statfacts/html/breast.html>

სურათი 12. სარძევე ჯირკვლის კიბო ქალებში, ასაკ-სტანდარტიზებული ინციდენტობა 100000 ქალზე, 2019



წყარო: <http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool>²¹

სურათი 13. სარძევე ჯირკვლის კიბო ქალებში, ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 ქალზე, 2019




წყარო: <http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool>

²¹ Global Burden of Disease Collaborative Network. Global Burden of Disease Study 2019 (GBD 2019) Results. Seattle, United States: Institute for Health Metrics and Evaluation (IHME), 2020. Available from <http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool>.

სარძევე ჯირკვლის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა ასაკთან ერთად იზრდება და მაქსიმუმს 60-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში აღწევს.


სურათი 14. ქალებში სარძევე ჯირკვლის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა (100000 ქალზე), საქართველო, 2020



ცხრილი 11. ქალებში სარძევე ჯირკვლის კიბოს ახალი შემთხვევების პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო

ასაკობრივი ჯგუფი	2015	2016	2017	2018	2019	2020
15-19	0,0	0,0	0,0	0,1	0,0	0,0
20-24	0,3	0,2	0,1	0,1	0,1	0,0
25-29	0,5	0,9	0,8	0,5	0,4	0,5
30-34	1,9	2,2	2,1	1,8	2,1	2,7
35-39	4,0	4,9	4,8	3,7	5,3	3,9
40-44	7,5	8,1	7,9	7,4	8,2	8,6
45-49	10,8	10,6	10,5	11,6	9,9	10,8
50-54	13,0	12,9	12,8	12,4	10,6	10,3
55-59	14,8	15,7	14,4	15,2	12,9	14,3
60-64	14,3	12,7	15,3	15,9	14,9	17,2
65-69	11,4	13,7	13,0	13,8	13,0	14,5
70-74	9,1	6,8	7,2	7,1	11,4	9,4
75+	12,5	11,2	11,2	10,3	11,2	8,4
სულ	100	100	100	100	100	100

სურათი 15. ქალებში სარძევე ჯირკვლის კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება სტადიების მიხედვით (%), საქართველო²²



2. ფარისებრი ჯირკვლის კიბო ქალებში

2020 წელს საქართველოში ქალებში რეგისტრირებულია ფარისებრი ჯირკვლის კიბოს 679 ახალი შემთხვევა, რაც ამ სქესობრივ ჯგუფში რეგისტრირებული ყველა ახალი შემთხვევის 13.2%-ს შეადგენს. 2016 წელს დიაგნოსტირებული ფარისებრი ჯირკვლის კიბოს 5-წლიანმა გადარჩენის მაჩვენებელმა 97.1% შეადგინა.

ამერიკის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის შეფასებით, ამერიკელ ქალებში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს განვითარების რისკი სიცოცხლის განმავლობაში 1.3%-ს უტოლდება²³.


ცხრილი 12. ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი განპირობებული ავადობა და სიკვდილიანობა ქალებში, საქართველო, 2015-2020

	2015	2016	2017	2018	2019	2020
ახალი შემთხვევების რაოდენობა	607	784	785	929	855	679
% ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობიდან	9,8	12,9	13,8	15,8	14,8	13,2
ინციდენტობა 100000 ქალზე	31.2	40.4	40.5	48.0	44.3	35.2
სიკვდილიანობა 100000 ქალზე	1,1	1,8	1,0	1,6	1,7	1,5

²² უცნობი სტადიის წილი 2015-2020 წლებში 6%-დან 20%-მდე

²³ <https://seer.cancer.gov/statfacts/html/thyro.html>


სურათი 16. ფარისებრი ჯირკვლის კიბო ქალებში, ავადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებლები 100000 ქალზე, საქართველო, 2015-2020



2015–2018 წლებში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ინციდენტობის მაჩვენებელი 100000 ქალზე ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, 2019 წელს მაჩვენებელი 8%-ით შემცირდა. 2020 წელს კლების ტენდენცია გაგრძელდა (კლება 2019 წელთან შედარებით - 20.6%). ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი სტაბილურ მნიშვნელობას ინარჩუნებს.

ქალებში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა მაქსიმუმს 30-34 წლის ასაკობრივ ჯგუფში აღწევს.

სურათი 17. ქალებში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა (100000 ქალზე), საქართველო, 2020




სხვა ლოკალიზაციების ავთვისებიანი ახალწარმონაქმნებისგან განსხვავებით (ჰემოპოეზური კიბოს გარდა), ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ახალი შემთხვევები რეგისტრირებულია 20 წლამდე ასაკის გოგონებში.

ცხრილი 13. ქალებში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ახალი შემთხვევების პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო

ასაკობრივი ჯგუფი	2015	2016	2017	2018	2019	2020
10-14	0,3	0,4	0,4	0,2	0,6	0,1
15-19	2,1	1,4	2,3	1,3	1,6	1,6
20-24	4,4	4,7	5,4	4,7	4,2	5,2
25-29	10,9	8,5	8,4	8,3	8,0	9,0
30-34	7,7	13,0	11,1	12,2	12,4	13,4
35-39	9,7	8,7	13,1	10,4	11,9	12,2
40-44	9,9	10,2	10,8	9,9	12,6	10,9
45-49	9,4	10,1	10,4	10,0	10,4	9,9
50-54	10,4	10,7	8,9	13,1	9,2	9,6
55-59	13,5	12,8	8,7	9,0	7,8	8,1
60-64	10,9	9,4	11,6	9,6	10,2	9,1
65-69	6,1	6,5	4,7	6,7	6,9	6,3
70-74	2,6	2,0	2,4	3,0	2,9	3,5
75+	2,0	1,5	1,8	1,5	1,2	1,0
სულ	100	100	100	100	100	100

სურათი 18. ქალებში ფარისებრი ჯირკვლის ათვისებებიანი სიმსივნეების ახალი შემთხვევების განაწილება სტადიების მიხედვით (%), საქართველო²⁴



²⁴ უცნობი სტადიის წილი 2015-2020 წლებში საშუალოდ 3,5%-ს შეადგენდა

3. კოლორექტუმის კიბო ქალებში


2020 წელს საქართველოში ქალებში რეგისტრირებულია კოლორექტუმის კიბოს 320 ახალი შემთხვევა, რაც ამ სქესობრივ ჯგუფში კიბოს ყველა რეგისტრირებული ახალი შემთხვევის 6.2%-ს შეადგენს. ქალებში 2016 წელს დიაგნოსტირებული კოლორექტუმის კიბოს გადარჩენის მაჩვენებელმა 46.8% შეადგინა.

ამერიკის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის შეფასებით, ამერიკელ ქალებში ამ ლოკალიზაციის კიბოს განვითარების რისკი სიცოცხლის განმავლობაში 4.2%-ია²⁵.

ცხრილი 14. კოლორექტუმის კიბოთი ავადობა და სიკვდილიანობა ქალებში, საქართველო, 2015-2020

	2015	2016	2017	2018	2019	2020
ახალი შემთხვევების რაოდენობა	420	377	329	367	335	320
% ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობიდან	6,8	6,2	5,8	6,2	5,8	6,2
ინციდენტობა 100000 ქალზე	21,6	19,4	17,0	19,0	17,4	16,6
სიკვდილიანობა 100000 ქალზე	10,2	12,0	11,3	14,3	13,6	14,4

სურათი 19. კოლორექტუმის კიბო ქალებში, ავადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებლები 100000 ქალზე, საქართველო, 2015-2020




2015–2020 წლებში ქალებში კოლორექტუმის კიბოს ინციდენტობა კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, 2020 წელს ინციდენტობის მაჩვენებელი 100000 ქალზე 16.6 იყო. იმავე

²⁵ <https://seer.cancer.gov/statfacts/html/colorect.html>

პერიოდში ქალებში კოლორექტუმის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა იზრდებოდა; 2020 წელს მაჩვენებელმა 100000 ქალზე 14.4-ს მიაღწია.

კოლორექტუმის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა ასაკთან ერთად მატულობს და მაქსიმუმს 70-74 წლის ასაკობრივ ჯგუფში აღწევს.


სურათი 20. ქალებში კოლორექტუმის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა (100000 ქალზე), საქართველო, 2020



ცხრილი 15. ქალებში კოლორექტუმის კიბოს ახალი შემთხვევების პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო

ასაკობრივი ჯგუფი	2015	2016	2017	2018	2019	2020
15-19	0,0	0,0	0,6	0,3	0,3	0,0
20-24	0,2	0,0	0,3	0,0	0,0	0,6
25-29	0,2	0,5	0,9	0,0	0,3	0,0
30-34	1,2	0,0	0,6	0,3	0,3	0,3
35-39	1,2	0,3	0,6	1,1	1,8	1,3
40-44	0,7	3,2	2,4	1,9	3,0	4,7
45-49	6,2	3,7	3,0	4,6	4,8	5,3
50-54	6,7	7,7	6,4	6,3	7,8	5,6
55-59	12,4	8,8	11,2	11,7	12,5	10,9
60-64	15,0	17,5	16,1	15,8	12,8	20,0
65-69	16,9	18,0	16,7	17,2	16,4	17,2
70-74	13,8	10,9	13,4	12,8	14,6	14,1
75+	25,5	29,4	27,7	28,1	25,4	20,0
სულ	100	100	100	100	100	100

სურათი 21. ქალებში კოლორექტუმის კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება სტადიების მიხედვით (%), საქართველო, 2015-2020²⁶



²⁶ უცნობი სტადიის წილი 2015-2020 წლებში - 7%-დან 17%-მდე

სამი ყველაზე მაღალი ავადობის მქონე კიბო კაცებში

ცხრილი 16. კიბოს ახალი შემთხვევები კაცებში ლოკალიზაციის მიხედვით, საქართველო, 2020

ლოკალიზაცია	ახალი შემთხვევების რაოდენობა	%
ყველა ლოკალიზაცია	4299	100.0
<i>მათ შორის:</i>		
წინამდებარე ჯირკვალი	576	13,4
ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი	511	11,9
შარდის ბუშტი	391	9,1
კოლორექტუმი	385	9,0
კანი (მელანომის გარდა)	366	8,5
სისხლი	264	6,1
ხორხი	227	5,3
კუჭი	205	4,8
ტუჩი, პირის ღრუ და ხახა	175	4,1
ფარისებრი ჯირკვალი	142	3,3
თავის ტვინი	105	2,4
პანკრეასი	71	1,7
მეზოთელური და რბილი ქსოვილები	68	1,6
საყლაპავი მილი	46	1,1
ძვალი და სასახსრე ხრტილი	38	0,9
მელანომა	21	0,5
სარძევე ჯირკვალი	10	0,2
in situ	5	0,1
T/NK-უჯრედოვანი ლიმფომის სხვა დაზუსტებული ფორმები	2	0,05

ცხრილი 17. სამი ყველაზე მაღალი ავადობის კიბო კაცებში, ახალი შემთხვევები, საქართველო, 2020

ლოკალიზაცია	ახალი შემთხვევების რაოდენობა	ინციდენტობა 100000 კაცზე
წინამდებარე ჯირკვალი	576	32,1
ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი	511	28,5
შარდის ბუშტი	391	21,8

